Digitally signed by
Municipal Development
Fund of Georgia
Date: 2021.05.10
12:45:30 +04'00'

N 2659-ო 10/05/2021

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, ურბანული განახლების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ურბანული განახლების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო ობიექტებისათვის (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის ლოკაციები) დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების შესრულების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N1

სატენდერო კომისიის სხდომა ჩატარდა ქალაქ თბილისში, საკონფერენციო კავშირის მეშვეობით

სატენდერო კომისიის შემადგენლობა:
გიორგი შენგელია - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.
დავით ტაბიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე, პროგრამის მენეჯერი.
ლევან შარვაძე - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ფინანსური დეპარტამენტის უფროსი.
გიორგი კარტოზია - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შეფასებისა და დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი.
ზურაბ კოტორაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.
გრიგოლ ფერაძე - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის უფროსი.
ნიკოლოზ დოლიძე - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.
ირაკლი ფარესიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის მდივანი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა:
ირაკლი თუშურაშვილი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების დეპარტამენტის სპეციალისტი.

დღის წესრიგი:
1. ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, ურბანული განახლების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ურბანული განახლების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო ობიექტებისათვის (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის ლოკაციები) დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების შესრულების სახელმწიფო შესყიდვის საშუალების განხილვა.
2. ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

საკითხი I

მოისმინეს სატენდერო კომისიის წევრების გამოსვლა:
1. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ პირველი მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, სსიპ საქართველოს

მუნიციპალური განვითარების ფონდს დაევალა, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, ურბანული განახლების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ურბანული განახლების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო ობიექტებისათვის (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის ლოკაციები) დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების შესრულების შესყიდვის უზრუნველყოფა.
2. ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, ურბანული განახლების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ურბანული განახლების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო ობიექტებისათვის (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის ლოკაციები) დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების შესრულების შესყიდვის უზრუნველსაყოფად, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ტექნიკური დავალება და პრეისკურანტები. პრეისკურანტების სავარაუდო ჯამური ღირებულება განისაზღვრა 262,854.00 ლარით, დღგ-ს გარეშე, ხოლო საერთო სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვრა 20,000,000.00 ლარით, დღგ-ს ჩათვლით.

სატენდერო კომისიის წევრებმა მსჯელობის საფუძველზე აღნიშნეს:
1. მისაღებად ჩაითვალოს წარმოდგენილი ტექნიკური დავალება, პრეისკურანტების სავარაუდო ჯამური ღირებულებისა და საერთო სახელშეკრულებო ღირებულების გაანგარიშება.
2. მიზანშეწონილია ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მეთოდით.
3. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ მე-3 მუხლის - პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების მე-3 პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე სატენდერო წინადადების წარსადგენად განისაზღვრა არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღე.

სატენდერო კომისიის წევრებმა ერთხმად დაადგინეს:
1. პრეისკურანტების სავარაუდო ჯამურ ღირებულებად განისაზღვროს 262,854,000.00 ლარი, დღგ-ს გარეშე, ხოლო საერთო სახელშეკრულებო ღირებულებად განისაზღვროს 20,000,000.00 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული NAT აბრევიატურით და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე სატენდერო წინადადების წარსადგენად განისაზღვროს არანაკლებ 10 (ათი) კალენდარული დღე.

საკითხი II

სატენდერო კომისიის წევრებმა მოისმინეს:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრის, ირაკლი თუშურაშვილის ინფორმაცია: ელექტრონული ტენდერის პირობების, კერძოდ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის შესახებ. ირაკლი თუშურაშვილმა სატენდერო კომისიას წარუდგინა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შევსებული სატენდერო პირობების პროექტი (თან ერთვის წინამდებარე ოქმს).

სატენდერო კომისიის წევრებმა განხილვის შედეგად აღნიშნეს:

მისაღებია ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პირობები და ძირითადი და მნიშვნელოვანი სატენდერო პირობების დასაბუთების მიზნით აღსანიშნავია:

1. ტექნიკური დავალებით განსაზღვრული, გასაწევის მომსახურებისა და შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს CPV-45200000 დანაყოფის ფარგლებში, CPV-45200000 კლასიფიკატორის კოდით.

2. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის თამახმად განსაზღვრულია შესყიდვის ობიექტის დაფინანსება.

3. პრეისკურანტების სავარაუდო ჯამური ღირებულება დაანგარიშებულია დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, შესაბამისად, წინადადების წარმოდგენა უნდა განხორციელდეს აღნიშნული გადასახადის (დღგ) გარეშე, ხოლო წინადადების ფასის კლების ბიჯის ოდენობა განსაზღვრულია პრეისკურანტების სავარაუდო ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების სრული ვადა განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მომდევნო დღიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მოცულობა განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართებით (ტექნიკური დავალება და პრეისკურანტები).

6. შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით, პრეტენდენტებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდების მიზნით, განცხადების დამატებითი ინფორმაციის ველში გათვალისწინებულია ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის დასახელებისა და შესრულებულ სამუშაოებზე საგარანტიო ვადების შესახებ.

7. ტექნიკური დავალება განსაზღვრულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართებით, ხოლო იმისთვის, რომ პრეტენდენტმა საფუძვლიანად მოახდინოს ტექნიკური დავალებით განსაზღვრული ინფორმაციის შესწავლა, ტექნიკური დოკუმენტაციის სახით მოთხოვნილია პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ტექნიკურ დავალებაზე, რომელიც ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციის 1.2 პუნქტში - სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2.

8. შესრულებული სამუშაოების სრული საგარანტიო ვადა შეადგენს 2 (ორი) კალენდარულ წელს: 1. სამშენებლო სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს 2 (ორი) კალენდარულ წელს, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დასრულების თარიღიდან; 2. გამწვანების სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს 1 (ერთი) კალენდარულ წელს, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული გამწვანების სამუშაოების დასრულების თარიღიდან. სრული საგარანტიო ვადის პერიოდში დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2,5%. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა, თითოეული ლოკაციის მიხედვით, აითვლება ინდივიდუალურად, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების თარიღის მიხედვით. სატენდერო დოკუმენტაცია მოიცავს დანართ N3-ს, რომლის თანახმადაც მოცემულია ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების საგარანტიო ვადებისა და დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის შესახებ. იმისთვის, რომ შემცირდეს მოსალოდნელი რისკი და თავიდან იყოს აცილებული სამუშაოების შეფერხება, ტექნიკური დოკუმენტაციის სახით მოთხოვნილია პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული თანხმობა, რომელიც განსაზღვრავს პრეტენდენტის ვალდებულებას დააზღვიოს, როგორც სამშენებლო ობიექტი, ასევე მანქანა-მექანიზმები, მესამე პირები და დასაქმებული პერსონალი. თანხმობა შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადებისა (დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი) და ობიექტის დაზღვევის შესახებ ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციის 2.9 პუნქტში - სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N3.

9. მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული, სატენდერო დოკუმენტაციის დანართი - ტექნიკური დავალების პირობებით განსაზღვრული პირველი ეტაპის - ესკიზების მინიმუმ 2 (ორი) ალტერნატივიდან ერთ-ერთის შეთანხმება და დამტკიცება განხორციელდება, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 აპრილის N185 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის - „განახლებული რეგიონები“ მე-4 მუხლის - სამთავრობო კომისიის საფუძველზე შექმნილი კომისიის მიერ.

10. პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ მოთხოვნები განისაზღვრა გასაწევი მომსახურებისა და შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკის, მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით. პრეტენდენტს, 2016 წლის 01 იანვრიდან ელექტრონული ტენდერისათვის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭების თარიღამდე პერიოდში, მიწოდებული უნდა ჰქონდეს:

კომპონენტი N1:

არაუმეტეს 5 (ხუთი) დასრულებული ხელშეკრულების ფარგლებში, არანაკლებ 400,000.00 ლარის ღირებულების, დეტალური საპროექტო დოკუმენტაცია, სამოქალაქო დანიშნულების შენობების

მშენებლობის, ან რეკონსტრუქციის, ან რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის. აღნიშნული ხელშეკრულებებიდან, მინიმუმ 1 (ერთი) დასრულებული ხელშეკრულება სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს არანაკლებ 100,000.00 ლარის ღირებულების დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას, სამოქალაქო დანიშნულების შენობების მშენებლობის, ან რეკონსტრუქციის, ან რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის.

კომპონენტი N2:

არაუმეტეს 3 (სამი) დასრულებული ხელშეკრულების ფარგლებში, არანაკლებ 10,000,000.00 ლარის ღირებულების, სამოქალაქო დანიშნულების შენობ(ებ)ის მშენებლობის, ან რეკონსტრუქციის, ან რეაბილიტაციის სამუშაოები, რომელიც სავალდებულოდ შესრულებული უნდა იყოს საქართველოს, ევროკავშირის (EU), ან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ-სახელმწიფოთა ტერიტორიაზე. აღნიშნული ხელშეკრულებებიდან, მინიმუმ 1 (ერთი) დასრულებული ხელშეკრულება სავალდებულოდ უნდა მოიცავდეს არანაკლებ 5,000,000.00 ლარის ღირებულების, სამოქალაქო დანიშნულების შენობების მშენებლობის, ან რეკონსტრუქციის, ან რეაბილიტაციის სამუშაოებს.

სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.1 პუნქტით განსაზღვრულია პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით წარმოსადგენი, გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ამავე დოკუმენტაციის წარმოდგენის პირობები. ამხანაგობის ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის საკითხი რეგულირდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს 24-ე მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა განისაზღვრა სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით, ხოლო პრეტენდენტის წინადადების ფასსა და პრეისკურანტების სავარაუდო ჯამურ ღირებულებას შორის 20%-ით, ან მეტით სხვაობის შემთხვევაში, საბანკო გარანტიის ოდენობა განსაზღვრულია სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ნიმუში მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N4-ს სახით, რომელიც ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციის 10.1 პუნქტში.

12. პრეტენდენტის წინადადების ფასსა და პრეისკურანტების სავარაუდო ჯამურ ღირებულებას შორის 20%-ით, ან მეტით სხვაობის შემთხვევაში, სატენდერო პირობებით მოთხოვნილია ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის ვალდებულება. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტი შედგენილი და გაცემული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 სექტემბრის N439 დადგენილებით დამტკიცებული „სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის მეთოდის“ მოთხოვნების შესაბამისად, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს, ან შესაბამის სფეროში აკრედიტებული სხვა პირის მიერ და წარმოდგენილი უნდა იყოს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

13. ანგარიშსწორების (მათ შორის წინასწარი ანგარიშსწორების) ზოგადი პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის 7.1, 7.1.1, 7.2 და 7.3 პუნქტებში, ხოლო დეტალური პირობები მოცემულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტში, რომელიც წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციის განუყოფელ ნაწილს. წინასწარი (საავანსო) ანგარიშსწორების მაქსიმალური ოდენობაა სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 30%.

14. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი მომზადებული სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ Design-Build მეთოდით სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის დროს გამოყენებული პირობების შესაბამისად და აღნიშნული პირობების ხელშეკრულებაში გათვალისწინებით, წარმატებით არის განხორციელებული მრავალი შესყიდვა.

15. სატენდერო დოკუმენტაციის 2.9 პუნქტით დამატებით არის განსაზღვრული ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, სატენდერო წინადადების ფასის დაანგარიშების მეთოდი და დოკუმენტების წარმოდგენის ფორმატი. სატენდერო დოკუმენტაციის 10.1 პუნქტით განსაზღვრულია სატენდერო პირობების განმარტების მოთხოვნის პროცედურა.

სატენდერო კომისიის წევრებმა ერთხმად დაადგინეს:

1. ერთი ხელშეკრულების ფარგლებში, Design-Build მეთოდით, ურბანული განახლების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ურბანული განახლების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო ობიექტებისათვის (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის

ლოკაციები) დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოების შესრულების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია (პროექტი თან ერთვის წინამდებარე ოქმს) და ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს NAT აბრევიატურით.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს წინამდებარე ოქმისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნება.

სატენდერო კომისიის სხდომაზე დამსწრე პირთა ხელმოწერები:

გიორგი შენგელია

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია

დავით ტაბიძე

აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე

დირექცია

ლევან შარვაძე

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე CFO

დირექცია

გიორგი კარტოზია

დეპარტამენტის უფროსი

შეფასებისა და დაგეგმვის დეპარტამენტი

ზურაბ კოტორაშვილი

დეპარტამენტის უფროსი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

გრიგოლ ფერაძე

დეპარტამენტის უფროსი

ხარისხის კონტროლის დეპარტამენტი

ნიკოლოზ დოლიძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი

ირაკლი ფარესიშვილი

დეპარტამენტის უფროსი

შესყიდვების დეპარტამენტი

ერეკლე თუშურაშვილი

შესყიდვების სპეციალისტი

შესყიდვების დეპარტამენტი